პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
12 დეკემბერი
1939 წ.
№ 285 (5685)
ფასი 10 კაპ.

დღეს შესრულდა ორი წელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევის დღიდან. ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ მტკიცედ დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა ამ ორი წლის მანძილზე მრავალი ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ხალხის რჩეულნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თავდადებულად მუშაობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, ცდილობენ საქმით გაამართლონ მაღალი მოწოდება—იყვნენ ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწენი.

სტალინური კონსტიტუციის დროშით, კომუნიზმის დიადი მესაჭის—ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი გაბედულად მიდის წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის გამარჯვება

უდიდესი სიხარულითა და ზეიმით შეხვდნენ დიადი საბჭოთა კავშირის მშრომელები 1937 წლის 12 დეკემბერს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. ეს დღე გადაიქცა საერთო-სახალხო ზეიმის დღედ, ჭეშმარიტი დემოკრატიის — სოციალისტური დემოკრატიის ზეიმის დღედ. ამ დღეს თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვანი მოსახლეობა ერთი გრძნობით სუნთქავდა, ერთი სიხარულით ხარობდა. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის ბედნიერმა მშრომელებმა პრაქტიკულად განახორციელეს სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლებანი საბჭოთა მოქალაქეებისა, პირველად აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, არჩევნები ჩატარდა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული, დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

ამ დღეს საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი მოქალაქენი სიხარულით მიეშურებოდნენ საარჩევნო უყუთებისაკენ, როგორც ხალხის დიდ დღესასწაულზე. მათ უდიდესი აღფრთოვანებით მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს. გაიცლის ათეული წლები, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ხალხები არ დაივიწყებენ 1937 წლის 12 დეკემბერს. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ერთსულოვნად გამოხატეს თავიანთი განუსაზღვრელი სიყვარული დედა-სამშობლოსადმი, ზრუნვა მისი აყვავებისა და შემდგომი აღორძინებისათვის, მისი უძლეველობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. ხმა მისცა რა სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ამით მშრომელმა ხალხმა ხმა მისცა ლენინ-სტალინის ძლევამოსილ პარტიას, დიდ **სტალინს**. ამ დღეს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურმა ბლოკმა დიადი გამარჯვება მოიპოვა.

„94 მილიონი ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 91 მილიონზე მეტმა, ე. ი. 96,8 პროცენტმა. მათგან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს ხმა მისცა 89 მილიონმა და 844 ათასმა კაცმა, ე. ი. 98,6 პროცენტმა. მხოლოდ 632 ათასმა კაცმა, ე. ი. ერთ პროცენტზე ნაკლებმა მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების წინააღმდეგ. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის უკლებლივ ყველა კანდიდატი არჩეული აღმოჩნდა.

ამრიგად, 90 მილიონმა კაცმა თავისი ერთსულოვანი ხმისმიცემით დაადასტურა სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში.

ეს იყო კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის შესანიშნავი გამარჯვება.

ეს იყო ბოლშევიკების პარტიის ტრიუმფი“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში სტალინური ბლოკის გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი დიდი სამშობლო, მთელ მსოფლიოს დაანახვა საბჭოთა ხალხის ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ამასთანავე ფართოდ გაჩაღებულმა საარჩევნო კამპანიამ ხელი შეუწყო ახალი კადრების, ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანების წამოყენებას, მათ ჩაბმას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბიძგი მისცა ხალხის პოლიტიკურ აქტივობის ახალ აღმავლობას.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ საბჭოთა მშრომელი ხალხის უსაზღვრო სიხარული და ზეიმი გამოიწვია. განუზომელი აღტაცებით შეიტყვეს ბოლშევიკური პარტიის ამ ტრიუმფის ამბავი ყველა ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა, მოწინავე და პროგრესიულმა კაცობრიობამ.

გასული წლის ივნისში სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები. ამ არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

საბჭოთა ხალხმა ამ არჩევნებში კიდევ უფრო მეტი დარაზმულობით და ერთსულოვნებით მისცა ხმა სტალინური ბლოკის კანდიდატებს და ამით მთელი მშრომელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალი ძლევამოსილი დემონსტრაცია მოახდინა.

ამჟამად უდიდესი გაჭანებით მიმდინარეობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების წინასაარჩევნო კამპანია. ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, ისევე როგორც წინანდელი არჩევნები, ჩატარდება ჩვენი ქვეყნის დიადი კანონის, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

მიმდინარე არჩევნებში, ისევე, როგორც წინა არჩევნებში, კომუნისტები გამოდიან უპარტიო მშრომელებთან ბლოკში, კავშირში. კომუნისტებმა და უპარტიოებმა ერთსულოვნად, შეთანხმებულად წამოაყენეს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები. ყველა ისინი ამჟამად უკვე რეგისტრირებული არიან სათანადო საარჩევნო ოლქებში. სწარმოებს სააგიტაციო მუშაობა დასახელებული კანდიდატების სასარგებლოდ.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარება უფრო რთულია, ვიდრე სსრ კავშირის და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები იყო. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არჩეულ უნდა იქნას ადგილობრივი საბჭოების 28 ათასზე მეტი დეპუტატი. მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ფართოდ მონაწილეობენ უპარტიო აქტივისტები. საარჩევნო უბნებში მუშაობს 53.000-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე. მათგან 30.000 მეტი კომკავშირელი და უპარტიო ბოლშევიკია. სულ არჩეულია 14.076 ნდობით აღჭურვილი პირი, მათ შორის უპარტიო ამხანაგია 6.655. აქედან ამკარაა, თუ რა აქტიურ მონაწილეობას იღებენ საარჩევნო კამპანიაში არაპარტიული ბოლშევიკები. ყველა ეს გარემოება პარტიული ორგანიზაციების წინაშე უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანებს აყენებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში რაიკომებმა და ქალაქკომებმა, საარჩევნო კამპანიის ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ.

მთელი სიძლიერით უნდა გავაჩაღოთ აგიტაცია წამოყენებული კანდიდატების სასარგებლოდ. პარტორგანიზაციები უნდა დაეწაფონ ნდობით აღჭურვილ პირებსა და აგიტატორებს აგიტაციის მიმზიდველად, ხალისიანად მოწყობაში. სააგიტაციო მუშაობის ცენტრი საარჩევნო უბანია. აქ ცხოვრობენ ამომრჩევლები, აქ წყდება არჩევნების ბედი. წინასაარჩევნო აგიტაციით უნდა მოვიცვათ თვითეული ამომრჩეველი, თვითეული მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე, დიასახლისი; ამიტომ სააგიტაციო მუშაობა, საარჩევნო უბანს გარდა, ფართოდ უნდა გავაჩაღოთ საწარმოებში, მეურნეობაში, საამქროში, ბრიგადაში.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოებში ხალხმა აირჩია თავისი საუკეთესო შვილები. ყველგან, სიყვარულითა და ბედნიერი ცხოვრების შექმნისათვის უღრმესი მადლობის გრძნობით მშრომელი ხალხი აღტაცებით აძლევდა ხმას დიდ **სტალინს** და მის ღირსეულ თანამებრძოლებს. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დიდი სტალინი აირჩიეს მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა. მაგრამ მათთან ერთად ამხანაგ **სტალინს**, ლენინ-სტალინის პარტიას ხმა მისცა საბჭოთა კავშირის 90 მილიონმა ამომრჩეველმა.

თბილისის მშრომელებმა დედაქალაქის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს დიდი **სტალინი** და ამით მთელი საქართველოს მშრომელთა გულისთქმა გამოხატეს. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული არიან აგრეთვე მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი** და ქართველი ხალხის საამაყო შვილი, საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელი ამხ. **ლ. პ. ბერია.** ამხანაგებმა **სტალინმა, მოლოტოვმა** და **ბერიამ** უდიდესი პატივი დასდეს თბილისის მშრომელთ და თანხმობა განაცხადეს კენჭი იყარონ თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე. საქართველოს დედაქალაქის და მთელი რესპუბლიკის მშრომელები ამას ახალი საზეიმო გამარჯვებებით უპასუხებენ და ამით გაამართლებენ დიდი ბელადის და მისი ღირსეული თანამებრძოლების ნდობას.

24 დეკემბერს ორდენოსანი საქართველოს მშრომელნი ადგილობრივ საბჭოებში აირჩევენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს. საქართველოს დედაქალაქის—თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი დეპუტატი იქნება მშობლიური **სტალინი.** ამ დღეს, ამხანაგ **სტალინის** სახელით გულში, მივლენ ჩვენი ამომრჩეველნი საარჩევნო ყუთებთან და სიხარულით მისცემენ თავიანთ ხმებს სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში სტალინური ბლოკის კანდიდატების ერთსულოვნად არჩევით მზიური საქართველოს მშრომელნი, მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად, შოახდენენ ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალ, კიდევ უფრო მძლავრ დემონსტრაციას, მთელ მსოფლიოს უჩვენებენ ბოლშევიკების პარტიის ახალ ბრწყინვალე ტრიუმფს.

ამხანაგი ი. ბ. სტალინი
რეგისტრირებულია ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ერევანი, 10 დეკემბერი (საკდესი). გაიმართა მშრომელთა დეპუტატების ერევნის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 1 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ჯაგაცპანიანმა სხდომას აცნობა, რომ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა საკონსერვო ქარხნის, ტრამვაის პარკის, მარმარილოს სახერხ და შუშის ქარხნების კოლექტივების გაერთიანებული კრების (კრებას 1.000 კაცი დაესწრო) ოქმი ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის წამოყენების შესახებ და რომ ამხანაგმა მოლოტოვი დასთანხმდა კენჭი იყაროს № 82 საარჩევნო ოლქში.

საკონსერვო ქარხნის მუშების სახელით გამოვიდა სტახანოველი ამხ. ტალიბ კაფაროვი. მან სხდომას უამბო, თუ რა უდიდესი აღტაცებითა და აღფრთოვანებით წამოაყენა ქარხნის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი მოლოტოვი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში დაუღალავად იბრძოდა და იბრძვის ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ჩვენი აყვავებული სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის. ჩვენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. კაფაროვი,—ჩვენს ხმებს მივცემთ შეუდრეკელ ბოლშევიკს, დიადი საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, ჩვენი ბრძენი მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს.

საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებას ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 82 საარჩევნო ოლქში ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის რეგისტრაციის შესახებ დამსწრენი შეეგებნენ მჭუხარე ტაშის ცემითა და მისასალმებელი შეძახილებით დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ მოლოტოვის პატივსაცემად.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი
რეგისტრირებულია ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ერევანი, 10 დეკემბერი (საკდესი). გაიმართა მშრომელთა დეპუტატების ერევნის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 82 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სურენ ისრაელიანმა სხდომას აცნობა, რომ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა საკონსერვო ქარხნის, ტრამვაის პარკის, მარმარილოს სახერხ და შუშის ქარხნების კოლექტივების გაერთიანებული კრების (კრებას 1.000 კაცი დაესწრო) ოქმი ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის წამოყენების შესახებ და რომ ამხანაგი მოლოტოვი დასთანხმდა კენჭი იყაროს № 82 საარჩევნო ოლქში.

საკონსერვო ქარხნის მუშების სახელით გამოვიდა სტახანოველი ამხ. ტალიბ კაფაროვი. მან სხდომას უამბო, თუ რა უდიდესი აღტაცებითა და აღფრთოვანებით წამოაყენა ქარხნის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი მოლოტოვი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში დაუღალავად იბრძოდა და იბრძვის ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ჩვენი აყვავებული სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის. ჩვენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. კაფაროვი,—ჩვენს ხმებს მივცემთ შეუდრეკელ ბოლშევიკს, დიადი საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, ჩვენი ბრძენი მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს.

საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებას ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 82 საარჩევნო ოლქში ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის რეგისტრაციის შესახებ დამსწრენი შეეგებნენ მჭუხარე ტაშის ცემითა და მისასალმებელი შეძახილებით დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ მოლოტოვის პატივსაცემად.

ესტონეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა რეიმ საღილი გამართა ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის პატივსაცემად

ა.-წ. 10 დეკემბერს ესტონეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა რეიმ საღილი გამართა ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის პატივსაცემად.

სადილს დაესწრნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ე. ვოროშილოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ა. ი. მიქოიანი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. ნ. გ. კუზნეცოვი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ს. მ. ბუდიონი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. პ. პოტიომკინი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ბ. მ. შაპოშნიკოვი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ა. დ. ლოქტიონოვი, კორპუსის მეთაური ამხ. რ. პ. ხმელნიცკი, ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, პოლკოვნიკი ამხ. ე. ე. ცუკანოვი, პოლკოვნიკი ამხ. გ. ი. ოსეტროვი, ამხ. ნ. ი. სემიონოვი.

გარდა ხსენებული პირებისა, დაესწრნენ: ლატვიის დესპანი ბ-ნი კოცინში, ლიტვის დესპანი ბ-ნი ნატკევიჩიუსი, პოლკოვნიკი ბ-ნი ვასილენკო, ესტონეთის მისიის სამხედრო ატაშე ბ-ნი სინკა, ლიტვის მისიის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ბ-ნი ზასკევიჩიუსი, ლატვიის მისიის სამხედრო ატაშე ბ-ნი ზალიტისი, კაპიტანი ბ-ნი იაქსონი და ესტონეთის მისიის შემადგენლობა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ გამოცემული დეკრეტის გამოქვეყნების 20 წლისთავისათვის

1939 წლის 26 დეკემბერს სრულდება 20 წელი იმ დღიდან, რაც ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად, „რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა 8-დან 50-წლის ასაკამდე, რომელმაც წერა ან კითხვა არ იცის, ვალდებულია ისწავლოს წერა-კითხვა მშობლიურ ან რუსულ ენაზე, სურვილისამებრ“.

ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე სსრ კავშირში წერა-კითხვა შეისწავლა 40 მილიონმა უცოდინარმა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის მცოდნეა, 1920 წელს კი მხოლოდ 31,9 პროცენტი იყო. რუსეთის სფსრ რესპუბლიკის 35 რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით ლიკვიდირებულია.

სახალხო განათლების ორგანოები ფართოდ აღნიშნავენ ამ ისტორიულ თარიღს. დაწესებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის განსაკუთრებული გარდამავალი რესპუბლიკური წითელი დროშა იმ ოლქისა, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკისათვის, რომლებმაც საზოგადოებრიობის დახმარებით საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს წერა-კითხვის უცოდინართა, მცირემცოდნეთა სწავლების საქმეში. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ჯარი მაჭინოს ხაზზე

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარმა რამდენიმე დღის წინათ დაიკავა საფრანგეთის სარდლობის მიერ მისთვის მიგვეცა პირველი კაუჩუკი. აღფრთოვანებულნი იმ ნდობით, რომელიც მშობლიურმა სტალინმა გამოგვიცხადა, ჩვენ პირნათლად შევასრულებთ ამ ვალდებულებას.

საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებას ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 1 საარჩევნო ოლქში ამხანაგ სტალინის რეგისტრირების შესახებ სხდომა შეეგება მჭუხარე ტაშითა და ვაშას ძახილით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ესტონეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა რეიმ საღილი გამართა ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის პატივსაცემად

ა.-წ. 10 დეკემბერს ესტონეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა რეიმ საღილი გამართა ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის პატივსაცემად.

სადილს დაესწრნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ე. ვოროშილოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ა. ი. მიქოიანი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. ნ. გ. კუზნეცოვი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ს. მ. ბუდიონი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. პ. პოტიომკინი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ბ. მ. შაპოშნიკოვი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ა. დ. ლოქტიონოვი, კორპუსის მეთაური ამხ. რ. პ. ხმელნიცკი, ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, პოლკოვნიკი ამხ. ე. ე. ცუკანოვი, პოლკოვნიკი ამხ. გ. ი. ოსეტროვი, ამხ. ნ. ი. სემიონოვი.

გარდა ხსენებული პირებისა, დაესწრნენ: ლატვიის დესპანი ბ-ნი კოცინში, ლიტვის დესპანი ბ-ნი ნატკევიჩიუსი, პოლკოვნიკი ბ-ნი ვასილენკო, ესტონეთის მისიის სამხედრო ატაშე ბ-ნი სინკა, ლიტვის მისიის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ბ-ნი ზასკევიჩიუსი, ლატვიის მისიის სამხედრო ატაშე ბ-ნი ზალიტისი, კაპიტანი ბ-ნი იაქსონი და ესტონეთის მისიის შემადგენლობა.

სოციალისტური პარტიიდან რიცხავენ იმათ, ვისაც არ სურს მონაწილეობა მიიღოს ანტისაბჭოთა კამპანიაში

ბრიუსელი, 11 დეკემბერი (საკდესი). სოციალისტური პარტიის ბრიუსელის ორგანიზაციის ყოფილი მდივანი, ბელგიის პარლამენტის დეპუტატი ბრიუნფო და მისი ვაჟი პარტიიდან გარიცხეს „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების“ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისა და მათ მიერ უარის თქმისათვის იმაზე, რომ მომხრობოდნენ ბელგიის სოციალისტების ანტისაბჭოთა პოლიტიკას.

ზავის სასარგებლო დემონსტრაციის აკრძალვა

ბერლინი, 10 დეკემბერი (საკდესი). ტრანსოკეანის საააგენტო ამსტერდამიდან გადმოგვცემს, რომ ზავის სასარგებლო დემონსტრაცია, რომელიც უნდა გამართულიყო ლონდონში 16 დეკემბერს და რომელსაც ინგლისის მთელი რიგი ქალთა ორგანიზაციები ამზადებდნენ, აკრძალულია პოლიციის მიერ.

უკმაყოფილება ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციით

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ იზრდება ადგილობრივი ლეიბორისტული ორგანიზაციების უკმაყოფილება პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციით. კერძოდ გაზეთი აღნიშნავს, რომ ბოუსა და ბრამლის (ლონდონის აღმოსავლეთი ნაწილი) ლეიბორისტული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ხეინსმა განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს შეივიდეს კომუნისტურ პარტიაში. თავისი გადაწყვეტილება ხეინსმა იმით დაასაბუთა, რომ ლეიბორისტული პარტია ვერ ასრულებს თავის ამოცანებს მუშათა კლასის მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში და უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე, ცილს სწამებს საბჭოთა კავშირს. ლეიბორისტული გაზეთი „დეილი ჰერალდი“ სათავეში უდგას ბურჟუაზიული პრესის ანტისაბჭოთა კამპანიას და კრინტსაც არ სძრავს იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც უნდა იცოდეს ინგლისელმა ხალხმა.

აბერტრელერში (მონმუტის საგრაფო) გამართულ მიტინგზე ადგილობრივი ლეიბორისტული ორგანიზაციის აღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ მორგანმა განაცხადა, რომ იგი შედის კომპარტიის რიგებში. მორგანის განცხადებას შეუერთდა ამ ორგანიზაციის მეორე წევრი სემიუელი.

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ ლეიბორისტული პარტიის უესტხემის (ლონდონის აღმოსავლეთი ნაწილი) ერთერთი ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანი ლეიზელი თავის მოადგილესთან ერთად გადადგა. ორივემ გადასწყვიტა შეივიდეს კომპარტიაში.

ინგლისელი ჯარისკაცები ფრანგ ქალებს ქორწინებას სთხოვენ

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). ინგლისელი ჯარისკაცები ფრანგ ქალებს ქორწინებას სთხოვენ, რათა ამით თავიდან აიცილონ ფრანგეთიდან გაგზავნა. ამის გამო ინგლისის სარდლობამ ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმად ქორწინება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელ ჯარისკაცს ფრანგეთში ორი წელი მაინც დაუმსახურებია.

ინგლისის ჯარი ფრანგეთში

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ომის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ინგლისის ჯარის ნაწილები, რომლებიც ფრანგეთში იმყოფებიან, ფრანგეთის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარის ნაწილების ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების გამოქვეყნების უფლებას მოკლებულნი არიან.

ინგლისის ჯარი ფრანგეთში

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ომის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ინგლისის ჯარის ნაწილები, რომლებიც ფრანგეთში იმყოფებიან, ფრანგეთის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარის ნაწილების ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების გამოქვეყნების უფლებას მოკლებულნი არიან.

ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფის ჩაიონში

ყინულმჭრელ „სედოვის“ გემბანი, 10 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ. რადიო) გუშინ, დღიდანვე მოღრუბლულობა იყო და ქარი ჰქროდა, მაგრამ ყინულის მოძრაობა არ ყოფილა. ტემპერატურა მინუს 18,6 გრადუსს უდრიდა.

შუადღისას და საღამოს ყინულის მცირე მოძრაობა მოხდა და რაპრალი ცოტათი გადიდდა, საღამოს 10 საათზე ტემპერატურა მინუს 18,3 გრადუსს უდრიდა. ჰქრის 5 ბალიანი ჩრდილოეთის ქარი, თოვს.

მთელმა ეკიპაჟმა სიამოვნებით მოისმინა მოსკოვიდან რადიოთი გადმოცემული კონცერტი პოლარელებისათვის.

გემზე ყველაფერი წესრიგზეა, ყველა მხნედ და ჯანმრთელად არის.

ნ. ბეკასოვი

ვ. პ. ჩკალოვის ხსოვნას

ტამოვი 10 დეკემბერი (საკდესი). სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტამბოვის საფრენოსნო სასწავლებლის ყველა ქვედანაყოფში 15 დეკემბერს შესდგება სამგლოვიარო კრებები და მიტინგები, რომლებიც მიეძღვნება ჩვენი დროის დიდი მფრინავის, ერთი წლის წინათ ტრაგიკულად დაღუპული ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის ხსოვნას.

1938 წლის 16 დეკემბერს გამარჯვებულ სამგლოვიარო მიტინგზე საფრენოსნო სასწავლებლის კოლექტივმა ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში სიტყვა მისცა მას იმუშაოს უკეთესად, აღზარდოს ისეთივე კულტურული და უშიშარი პატრიოტი მფრინავები, როგორიც ჩკალოვი იყო. ვ. პ. ჩკალოვის დაღუპვის წლისთავზე შეჯამებული იქნება ამ დაპირების შესრულების პირველი შედეგები.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის დახურვა

10 დეკემბერს მოსკოვში დაიხურა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს უფროსის საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. პაპანინისა და პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. ბელახოვის მოხსენებანი 1939 წლის ნავიგაციის დროს სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ და 1940 წლის ამოცანებზე.

საბოლოო სხდომაზე გამოვიდნენ ამხ. ბელახოვი და პაპანინი. სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შირშოვმა გამოაქვეყნა მისასალმებელი დეპეშა, რომელიც ყინულმჭრელ „გიორგი სედოვის“ გმირულმა ეკიპაჟმა აქტივის თათბირის მონაწილეებს გამოუგზავნა.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმებანი ამხანაგ **სტალინისა** და **მოლოტოვისადმი.** თათბირმა აგრეთვე მიიღო მიმართვა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს ყველა მუშაკისადმი. (საკდესი).

ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფის შესახებ გმირული დრეიფის შესახებ

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს პოლიტსამმართველო ყინულმჭრელ „გიორგი სედოვის“ მამაცი ეკიპაჟის დაბრუნებისათვის ამზადებს დიდ კრებულს, რომელიც მიძღვნილია არქტიკის ისტორიაში უმაგალითო დრეიფისადმი.

წიგნში შევა: საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ი. დ. პაპანინის სტატია —„სტალინური ვახტი“, საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ე. კ. ფედოროვისა და პროფესორ ნ. ნ. ზუბოვის სტატიები ყინულმჭრელ „გ. სედოვის“ დრეიფის სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ, კაპიტან ბადიგინის, პოლიტთანაშეწყობის ტროფიმოვისა და გმირული ეკიპაჟის სხვა წევრების გაერთიანებული დღიური. კრებული უხვად იქნება დასურათებული ფოტო-სურათებით. (საკდესი).

უკრაინის პროპაგანდისტები და აგიტატორები თბილისში

გუშინ და დღეს დილით ხარკოვის, ხარკოვის ოლქისა და დონბასის აგიტატორთა, პროპაგანდისტთა, ლექტორთა, პარტიული კაბინეტების გამგეთა, პარტიისა და კომკავშირის რაიკომების მუშაკთა ჯგუფი ეცნობოდა ავლაბრის რესტავრირებულ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბას და ლენინის მუზეუმს. გუშინ ექსკურსანტები იყვნენ ფუნიკ

„დაივიწყეთ ჩემი გვარი"

მან თავისი გვარი მითხრა. მე ჩავიწერე.

ხელი გააქნია და მანიშნა.

— გეთაყვა, ნუ ჩაიწერთ!

— რატომ?—გაკვირვებული შევეკითხე.

— იმიტომ, რომ ისინი ჩემს შვილს მოჰკლავენ.

— არ მესმის! — ვუპასუხე მე.

პაპიროსი მთხოვა, მორიდან თოვლი გადასწმინდა ხელთათმანით, დაჯდა და პაპიროსი გააბოლა. შემდეგ ალერსიანათ გაიღიმა. მოხუცებულობის მიუხედავად, მას ჯანმრთელობით თეთრი და სწორი კბილები ჰქონდა.

საათობის ჟამს ხეებქვეშ, ტყეში უსაუბრიათ. აქვე მუშაობდნენ მებრძოლები. ისინი ნაღმებს ეძებდნენ. მეკავშირეებს ტელეფონის ხაზი გაჰყავდათ. მაღალი ნაძვის ხიდან მსუბუქი ფიფქი სცვიოდა. ჩემს თანამოსაუბრეს დაუძახეს. იგი ადგა და მებრძოლებისაკენ წავიდა.

— მაშ ასე! — სთქვა მან და ახლახან ამოღებულ და დაცლილ ნაღმებს გადაჰხედა. — ძალიან კარგი, ახლა უკანასკნელი ნაღმი აქ უნდა იყოს, მილში.

გზა ხეებისაკენ უხვევდა და ყრილწმეში ხის მილი მოსჩანდა.

— აი აქ, — სთქვა მან, — მე დავინახე, თუ როგორ სდებოდა იგი აქ ნაღმს. შემდეგ ისინი წავიდნენ.

იგი დაბრუნდა და კვლავ მორზე დაჯდა.

— თქვენ ფინელი ხართ? — შეკითხა მე.

— დიახ, ფინელი ვარ.

— თქვენ კარგად ლაპარაკობთ რუსულად!

— დიდხანს ვმუშაობდი რუსეთში.

ერთხანს ვდუმდი.

— მაინც რატომ არ შეიძლება თქვენი გვარის გამოქვეყნება პრესაში? — ვკითხე მე.

— ძალიან ადვილი გასაგებია, — მითხრა მან, იმიტომ არ შეიძლება, რომ ჩემი უფროსის შვილი ჰელსინკში მუშაობს, გესმით? და თუ ჩემი გვარი გაზეთში დაიბეჭდა, მას ჩამოახრჩობენ.

— რისთვის?

— იმისათვის, რომ მისმა მამამ წითელ არმიას უჩვენა, თუ სად არის ჩაფლული ნაღმები.

— თქვენ ერთი შვილი გყავთ?

— ორი. მეორე აქ არის. მისი წყალობით არ გადამასახლეს.

— რატომ?

— ცხრა წელიწადია, ლოგინად ვარის ჩავარდნილი. თუ გნებავთ, წადით, ჩემი სახლი ძალიან ახლოა აქედან. თქვენს ამხანაგებს მე ალარა ვჭირდები. ახლა ეს გზა ნაღმებისაგან გაწმენდილია.

რამდენიმე წუთს ვიარეთ; თოვლს ზრაშა-ბრუში გაუდიოდა. ბოლოს შევუხვიეთ და გორაკზე ავედით. აქ იდგა ძელური ჭოხი, რომლის მარცხენა მხარეზე ჯა იყო, მარჯვენა მხარეზე კი — ფარდული. სახლის უკან ტბა იყო. ტბის ნაპირზე სათევზაო ნავი ეგდო და ბადეების გასაშრობი პალოები ეყარა.

— თქვენ მებადური ხართ?—ვკითხე ჩემს თანამგზავრს.

— დიახ, — მიპასუხა მან.—თავს ამით ვირჩენ.

ავედით დაბალ კიბეზე და შევედით ჭოხში. აქ დიდი სისუფთავე და დიდი სიღარიბე სუფევდა. იატაკზე ეფინა მოკლე ფარდაგი, ხის შეუღებავ თაროებზე ელაგა სპილენძის საყავე და ყავის საფქვავი. ხმამაღლა წიკწიკებდა მაღვიძარა. ბუხარში იწვოდა მსხვილი კუნძი.

— აი, აქ ვცხოვრობთ, — სთქვა ჩემმა თანამგზავრმა, — მე და უმცროსი შვილი. გაიცანით!

ხის საწოლზე იწვა ახალგაზრდა, დიდთვალა, ქერათმიანი ქალაური, რომელიც ძალიან ჰგავდა მამას. მან დარცხვენით გაიღიმა, გამომიწოდა დიდი თეთრი ხელი და სთქვა:

— ეინო.

— რითი ხართ ავად?—შევეკითხე მე.

— თევზს ვიჭერდი აქ, სადაც არ შეიძლებოდა! —სთქვა მან, — ყველაფერი შემთხვეული მოხდა, ნისლიანი იყო. ნავი წყალმა გაიტაცა, მე კი ვერ შევნიშნე. დამიჭირეს და ორივე ფეხი მომტეხეს. აი უკვე მეათე წელიწადია ვწევარ.

და ხელმეორედ დარცხვენით გაიღიმა.

მამამ ნაფოტი შეჰყარა ცეცხლში და ბუხარი მხიარულად ახმაურდა.

ჯანაბას იმათი თავი, ეინო! — სთქვა მან ბირმოუბრუნებლად.—არა ეინო ამ შემთხვევის მოგონება. მალე წაგიყვან ყირიმში, ამბობენ, იქ ამაზე მეტ რამესაც არჩენენო! მართალია, ამხანაგო?

— წყალტუბოში, საქართველოში! —მივუგე მე.

— მაშ, წყალტუბოში, — დამეთანხმა იგი. და ცოტა დუმილის შემდეგ დასძინა:—ბარონს კი ანგარიში გავუსწორე ამ ნაღმებით!

— რომელი ნაღმებით? — შევეკითხე მე.

— აი, გზაზე რომ არის. მე დავინახე როგორ დანაღმა ბატონმა ბარონმა მთელი ეს უბანი. მე ვხედავდი მას. ის კი ვერ მხედავდა. და ყველაფერი დავიხოშე ქალალდზე...

მე გამოვეთხოვე მამასა და შვილს. გამოთხოვებისას მამამ მითხრა:

— ორნოდ, გეთაყვა, დაივიწყეთ ჩემი გვარი. თორემ უფროს შვილს შეიძლება დიდი უსიამოვნება შეემთხვეს.

○

ტბასთან, იქ, სადაც ვიწერი გზა უხვევს, სდგას ჭოხი. მარცხნით არის ფართოდიანი ჯა, მარჯვენით—ფარდული. ცოტა მოშორებით—ბაღი. ჭოხში ცხოვრობს ლურჯთვალა მხარბეჭიანი ფინელი და ავადმყოფი ჰაბუკი ეინო. დღე ეს ჰატარა სტატია წაიკითხოს ეინოს უფროსმა ძმამ. იმ ძმამ, რომელიც კალატოზად მუშაობს ჰელსინკში. იგი გამოიცნობს მამასა და ეინოს. და იფიქრებს:

— ყოჩაღ, მოხუცო! მართებულად გაუსწორე ანგარიში ეინოს ფეხების მომტვრევისათვის!

იური გერმანი

(საკდესი).

ქარელის ყელი, 9 დეკემბერი.

ლაზარეთში

პეტროზავოდსკის მიმართულება, 9 დეკემბერი (საკდესის სპეციკორი). იგი წევს ლაზარეთში და გაოცებული შესცქერის ექიმებს, რომელნიც ასე ზრუნავენ მისთვის, ტყვისათვის.

ჯარისკაცი იპოვეს და აიყვანეს ჩვენმა მეომრებმა. იგი, დაჭრილი 14 საათს ეგდო დაუხმარებლად. უკან დახევისას ოფიცერმა ბედის ანაბარა მიატოვა იგი. ტყვეს ეკითხებიან, ხომ არაფერი გინდათ.

— ჯერჯერობით არაფერი, — ეუბნება ტყვე თარჯიმანის საშუალებით. — მაგრამ აი მე მაქვს მშობლების წერილები, წაიკითხეთ, რომ გაიგოთ როგორ ცხოვრობენ ჩვენში. ერთი წერილი დედისაგან არის.

„თითა სხვისი ჯობენით დამაქვს. ჩემი ცხენი წამართვეს", — სწერს ეგი შვილს.

მეორე წერილი ძმისაგან არის, რომელიც აგრეთვე ჯარისკაცია. „მიკვირს, — სწერს იგი ძმას, — როგორ გადარჩი სასჯელს. აქ დღე ისე არ გავა, რომ ვინმე არ დასაჯონ. შენ ცუდი ამბებია, მინდა წაგიდე და ვნახო, როგორ ცხოვრობენ საწყლები, მაგრამ შვებულებას არ მაძლევენ".

წერილები დაკვეთილია. როგორც სჩანს ბევრჯერ წაუკითხნია ჯარისკაცს მწარე გრძნობით.

თარჯიმანი ფრთხილად, ისე რომ არ დაჰლალოს, უამბობს მას ფინეთის ახალი სახალხო მთავრობის შესახებ. ტყვე დაძაბული ყურადღებით უსმენს, მას თავის სიცოცხლეში პირველად ესმის ასეთი სიტყვები. იგი ცდილობს ბალიშზე წამოიწიოს და თავს იჭნევს მდუმარე.

მივესალმებით კარელი და ფინელი ხალხების გაერთიანებას

პეტროზავოდსკი, 10 დეკემბერი (საკდესი). კარელიის ასს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები. რუსები, ფინელები, კარელები მხურვალედ მიესალმებიან ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

კარელიის სოფელ პრიაჟაში გამართულ მიტინგს 450 კაცი დაესწრო. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„ჩვენ სიხარულით შევეგებით ამ ცნობას, რომ ჩვენი მონათესავე ფინელი ხალხის ნება-სურვილით შექმნილია ფინეთის სახალხო მთავრობა. მხურვალედ მივესალმებით კარელი და ფინელი ხალხების გაერთიანებას ფინეთის ერთიან თავისუფალ სახელმწიფოდ.

გაუმარჯოს ფინეთის დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და სახელოვან წითელ არმიას!"

ბალხმრავალი მიტინგები გაიმართა კარელიის ასსრ დედაქალაქ პეტროზავოდსკში. მიტინგის დამთავრების შემდეგ მშრომელები მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ მოაწყონ უკეთესად ფინელი ხალხის დახმარება. პეროსოზეროს, სოვდოზეროსა და სხვა სოფლებში მცხოვრებნი, რომლებიც წინათ ფინეთში ცხოვრობდნენ, სოფლის საბჭოებში მოდიან და უცხადებენ—მზად ვართ გავიწიოთ სამსახურიო. ისინი თხოულობენ გამოყენებულ იქნან წითელი არმიის ნაწილებს გამყოლებად ფინეთის ტერიტორიაზე.

ზესტაფონის შეიარაღებაღნობის ქარხანამ ვადამდე შეასრულა წიღნის გეგმა

ზესტაფონი, 11 დეკემბერი (საკდესი). ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ, რომლის კოლექტივი ჩელიუსკინცის და ზაპოროჟიეს ფეროშენადნობის ქარხნებს ეჯიბრება, დიდ გამარჯვებას მიაღწია, მან ვადამდე შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

წლიური გეგმის ვადამდე შესრულება ქარხანაში სოციალისტური შრომის ნამუშევები გვიჩვენებს სადნობი საამქროს ოსტატმა ამხ. ვოშდოშვილმა, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის", მოწინავე ოსტატებმა და სტახანოველებმა ამხ. მელჭაძემ, გამეზარდაშვილმა, სალარიე შვილმა, ლორიამ, ბრეგვაძემ და სხვებმა.

ჯყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა შეასრულა წიღნის გეგმა

(ჯუთაისი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშაკთა კოლექტივმა წლიური გეგმა 7 დეკემბრისათვის შეასრულა.

1926-27 წლის უცვლელ ფასებში კომბინატს უნდა მოეცა 1.320 ათასი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად მოგვცა 1.322.800 მანეთისა, ანუ გეგმის 101,2 პროცენტი.

კომბინატის კოლექტივმა აიღო ვალდებულება 24 დეკემბრისათვის დამატებით მისცეს ქვეყანას 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

გ. ყურაშვილი

ვემსახუროთ ხალხს, გავამართლოთ მისი ნდობა

ხალხთან მჭიდრო კავშირში

დღეს ორი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა არჩევნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა. ამ არჩევნებში ბრწყინვალედ გაიმარჯვეს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებმა.

მკითხველს მოეხსენება, რომ მეც წილად მხვდა დიდი ბედნიერება და ხალხმა აღმჭურვა უდიდესი ნდობით, მეც წარმგზავნა დეპუტატად კავშირის უმაღლეს საბჭოში.

დეპუტატობამ, ვარდა სპატიო მდგომარეობისა, შემატინა ის, რომ მშრომელ მასასთან კიდევ უფრო დამაახლოვა.

მჭიდრო კავშირი გაიბა ჩემსა და ჩემს ამომრჩევლებს შორის. მაქვს მათთან საქმიანი მიწერ-მოწერა, მოდიან ჩემთან აღბულაღიდან, ხევსურეთიდან, ყარაიადან, თიანეთიდან, ქასპიდან, საგარეჯოდან. ერთი სიტყვით, ყველა იმ რაიონიდან, საიდაც მე ამირჩიეს ამ ორი წლის წინათ, 1937 წლის დეკემბრის 12-ს.

რა საქმეები ინტერესებთ ამომრჩეველებს, რა საკითხებზე მომმართავენ მე?

სკოლების მდგომარეობა, გზების გაყვანა, სარწყავი არხების და წყალსადენების გაკეთება, ელექტრო-სინათლის გაყვანა, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში კოლმეურნეთა მიერ მონაწილეობის მიღება და ათასნაირი სხვა შეკითხვა და დავალება, — აი ჩვენი მიმოწერის საგანი.

დეპუტატობეს გარდა, რაკი იციან, რომ მწერალიც ვარ და თეატრთანაც ახლო ვდგევარ, მავალებენ ზოგჯერ მივიდე ამა თუ იმ კოლმეურნეობებში და ავწერო მათი დაწინაურებისა და ზრდის ამბები, ან ხელი შევუწყო აღგილობრივ დრამწრეებს პიესების მიწოდებით, ლიტწრეებს რჩევა-დარიგებით და სხვ.

მომდის აუარებელი ლექსებიც, მოთხრობებიც ჩემს ამომრჩეველთაგან, მოხუცთაგან, ახალგაზრდათაგან.

მეც ზოგჯერ ჩავდივარ მათთან და უფრო ახლო ვეცნობი მათ ახალ ყოფა-ცხოვრებას. ეს, რასაკვირველია, კიდევ უფრო ამდიდრებს ჩემი გამოცდილების მარაგს და მეც ვცდილობ ყოველი ნახული და განცდილი მათ შორის შეძლებისამებრ მხატვრულად გადავიტანო ჭაღალდზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამომრჩეველთა დავალებანი ზემდგომ ორგანოთა მეთხებით უმეტეს შემთხვევაში ადგილობითად წყდება. ეს კი დიდად მახარებს, მამხნევებს და მაძლევს სტიმულს ვიმუშაო ხალხისათვის, როგორც ბეჯითმა ხალხის მსახურმა.

ახლაც, ამ თვეში ხდება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა გრანდიოზული არჩევნები. ხალხი ღიდი ყურადღებით და აქტივობით ეხმაურება ამ არჩევნებს. კანდიდატთა სიაზე ვატყობ, როგორი ღირსეული ხალხია წამოყენებული, და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს არჩევნებიც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ერთსულოვანი გამარჯვებით დაგვირგვინდება.

კლასიკური სახე ხალხის მსახურისა მოგვცა თავის ისტორიულ სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დიდმა **სტალინმა.**

როგორც ჩენ ამ ორი წლის წინათ არჩეული დეპუტატების, ისე ახლად ასარჩევი კანდიდატების უწინდესი მოვალეობაა ერთ წუთსაც ფიქრიდან არ განვაშოროთ ეს დიდებული სახე საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მოღვაწისა და მაშინ კიდევ უფრო გავემარჯვებთ, კიდევ უფრო ვეაყვავებთ ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს.

შალვა დადიანი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ხალხის სამსახურში

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ერთსულოვნად აირჩია ლენინ-სტალინის პარტიის საჭმისათვის თავდადებული მებრძოლები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. საბჭოთა ხალხმა ხმა მისცა ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ ადამიანებს, ხმა მისცა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს** და მის ღირსეულ თანამებრძოლებს.

12 დეკემბერი ჭეშმარიტად იყო საყოველთაო - სახალხო ზეიმის დღე, სოციალისტური დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვების დღე. ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ ერთსულოვნად და მჭიდროდ დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა არჩევნების დროს გვიჩვენა უმაგალითო სიყვარული და ნდობა კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა ხალხმა სახელმწიფო მმართველობის საქმე ჩააბარა სანდო და ღირსეულ პირებს. ხალხის რჩეულნი თავიანთი შუშაობით, ამომრჩევლებთან მტკიცე კავშირით წარმატებით იბრძვიან სოციალისტური სამშობლოს კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

დიდმა ბელადმა, ამხანაგმა სტალინმა 1937 წლის 11 დეკემბერს მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე თავის ბრძნულ სიტყვაში სთქვა: „დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილ უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელ ზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ".

ჭეშმარიტად ბედნიერებაა სტალინური ეპოქაში მუშაობა. არ არის იმაზე უფრო საპატიო საქმე, ვიდრე იყო ხალხის ღირსეული და მისი ღირსეული მსახური! მეც მთელი პასუხისმგებლობით ვგრძნობ, რომ ვარ ხალხის მიერ არჩეული და მთელი ჩემი ენერგიით უნდა ვემსახურო ხალხს.

ამ ორი წლის მანძილზე დაკავშირებული ვარ ჩემს ამომრჩევლებთან. სამხრეთ-ოსეთის მშრომელები, რომლებმაც მე უდიდესი ნდობა გამომიცხადეს და ამირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, წარმატებით ახდენენ სოფლის ცხოვრების გარდაქმნას, რომ გაბადონ ავი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი, კიდევ უფრო კულტურული. დამახასიათებელია, რომ სამხრეთ-ოსეთის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დიდი ყურადღებით სწავლობენ თავის მხარეს და შემოაქვთ წინადადებები სოფლებში სარწყავი სასმელი წყლის გაყვანის, ელექტროსადგურების აგების, თეატრების, კლუბებისა და საკავშირო ფოტოების მოწყობის, ახალი სასკოლო ნაგებობების აგების და სხვათა შესახებ.

ჩემი ამომრჩევლებისაგან ხშირად ვიღებ წერილებს. ისინი მთხოვენ დახმარებას და მეც დაუყოვნებლივ ვასრულებ მათ დავალებებს. მღებრის სასოფლო საბჭოდან (ტყიბულ-ნის რაიონი) მესტუმრა რამდენიმე ამომრჩეველი. მათ მთხოვეს მომეგვარებინა სოფელში წყლის საკითხი. მათი თხოვნა მე შევასრულე საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ-ოსეთის ცაკის დახმარებით.

ბევრი რამ გაკეთდა ქალაქ სტალინირის კეთილმოწყობისათვის. ამომრჩეველთა მოთხოვნით აშენდა წყალსადენი, სასტუმროს სამსართულიანი შენობა, დამთავრდა საავადმყოფოს შენობის აგება და სხვ.

ხშირია შემთხვევა, როცა ამომრჩევლები თავისთან მიწვევენ. განზრახული მაქვს უახლოეს ხანში ვიწვეო ჩემს ამომრჩეველებს და კიდევ დავეხმარო მათ, რითაც კი შემეძლება.

გ. გოჩაშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ეთერი მაზანაშვილი თავის ამომრჩევლებთან.

ფოტო ე. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ყოფილი მჭედელი—სახელმწიფო მოღვაწე

ვინ არ იცნობს დავით ალექსისძე ჭიჭინაძეს?

იგი—თბილისის სტალინის საბელოვნების ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელი—პირველი იყო, დიადი სტახანოვური მოძრაობის დროშა რომ აიფრიალა საქართველოში და უჩვენა სოციალისტური შრომის სასწაულები.

დღეს ეს კაცი სახელმწიფო მოღვაწეა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს—მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული პარლამენტის დეპუტატი და საქართველოს ყველაზე მოწინავე საწარმოს ხელმძღვანელი, უფროსი იმ ქარხნისა, სადაც ის მანამდე მჭედლად მუშაობდა. მას წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება ყოფილიყო წევრი საქართველოს წარჩინებულ ადამიანთა დელეგაციისა, რომელიც კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიიღეს 1936 წელს. ამ დაჯდა იყო, ბელადს ქართველი ხალხის გაღელვებული წერილი რომ გადასცა. მას აქეთ მის მკერდს უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი ამშვენებს.

დღეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ორი წლისთავზე, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ეს ღირსეული შვილი, რომელიც პარტიამ აღზარდა, დააწინაურა და უდიდესი ნდობით აღჭურვა, მოგვითხრობს თავისი სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ:

— საბელმწიფო ხართავი-გამგეობამდე მე მივედი მჭედლის ურიდან. მანამდე საბელმწიფო მოღვაწეობის გამოცდილება, ცხადია, არ გამაჩნდა, მაგრამ უცდილობდი ბოლშევიკურად გამემართლებინა ჩემი მშობლიური პარტიისა და ჩემ ამომრჩეველების ის უდიდესი ნდობა, რომელიც მე მათ გამომიცხადეს.

განვლილ ორ წელს, რაც მე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვარ, უშედეგოდ არ ჩაუვლია, ბევრი რამ ვისწავლე და ცოტა რამის გაკეთებაც შევძელი.

დღე არ გავა, განაგრძობს დეპუტატი ჭიჭინაძე, რომ ამომრჩევლებს არ შევხვდე, ან წერილი არ მივიღო მათგან. მრავალმხრივია ეს წერილები, ზოგი პირად საქმეობრივ საკითხებს შეეხება, ზოგსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მეც არ ვიშურებ ძალღონეს, რათა შეძლებისდაგვარად დავეხმარო მათ.

მართალია, როდესაც ვათვალიერებთ ამ. დ. ჭიჭინაძის სადეპუტატო პორტფელს, იგი სავსეა მიწერ-მოწერით. იქიდან შეიძლება ამოიკითხოთ, თუ რა დიდად ზრუნავს დეპუტატი თავის ამომრჩევლებზე. აქ სჩანს ბოლშევიკის სტალინური ზრუნვა ყველაზე ძვირფას კაპიტალზე—ადამიანზე.

მაგრამ ამხ. დავით ჭიჭინაძის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მთავარი ისაა, რომ მან, ყოფილმა მჭედელმა, დღეს ხელმძღვანელმა ჩვენი ერთერთი დიდი ქარხნისამ, სადაც დიდხანს იყვნენ მოკალათებული ხალხის საზიზღარი მტრები და თავის ბინძური საქმეს აკეთებდნენ, ადგილობრივი პარტორგანიზაციების დახმარებით შესძლო მეურნეობის ისე მოწესრიგება, ქარხნის 4 ათასიანი კოლექტივის ისე დარაზმვა, რომ შეორე წელია, რაც იგი გეგმას ვადამდე გადაჭარბებით ასრულებს და, რაც მთავარია, ასრულებს ხარისხიანად. წელსაც ქარხანამ ერთი წლის გეგმა 11 თვეში შეასრულა 101 პროცენტით და ახლა იმისთვის იბრძვის, რომ წლის დამთავრებამდე ტრანსპორტს წლიური გეგმის გადაჭარბებით მისცეს 30 ორთქლმავალი.

ამ წარმატებითი მუშაობისათვის ამასწინათ ქარხნის 5 საუკეთესო მუშაკი სსრ კავშირის ორდენებითაც და მედლებით დაჯილდოვეს. მათ შორისაა თვით ამხ. ჭიჭინაძეც, რომელმაც მეორე ორდენი — შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო.

— ეს წარმატებები, ცხადია, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, — გვეუბნება ამხ. ჭიჭინაძე, — ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანება მოგვეპოვება მუშაობაში, ჯერ კიდევ ვერ ვართ მიღწეული სასურველი მდგომარეობა პროდუქციის ხარისხში. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა მივაღწიოთ ამ მხრივ იდეალურ მდგომარეობას და ამას მივაღწევთ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ქარხანა, რომელიც დიდი სტალინის ტრადიციებით ცხოვრობს, ყველაზე მოწინავე, ყველაზე სანიმუშო უნდა იყოს ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნებს შორის—ასეთია ჩვენი ამოცანა.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ამხ. ჭიჭინაძე მეტად პასუხსაგებ მუშაობას ეწევა. იგი თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა და ამასთან წარმოყენებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

— დიდმა სტალინმა დეპუტატებს გვითხრა—ვიყოთ ლენინის ტიპის საბელმწიფო მოღვაწენი. ჩემს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში მე ყოველთვის ბელადის ამ მითითებებით ვხელმძღვანელობ. თუ ოდნავ მაინც ვახერხებ სახელმწიფო მოღვაწეობაში დიდი ლენინისა და დიდი სტალინის შიბაძვას, ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა.

ა. ზურაშვილი

საუბარი აკადემიკოს-დეპუტატთან

ქარზე პატარა ბიჭია გაკრული წარწერით:

„სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი".

აქ, სადაც და სუფთად მოწყობილ კაბინეტში ზის და მუშაობს საბჭოთა კავშირის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი. საუბარში სიტყვამ მოიტანა და მან მოსაუბრეს უამბო თავისი მუშაობის შესახებ.

— ჩემი სამუშაო დღე იწყება დილის 10 საათიდან, — სთქვა აკადემიკოსმა - დეპუტატმა ნიკო მუსხელიშვილმა, — დილითვე ჩამოვიარე ხოლმე აკადემიის ფილიალის ინსტიტუტებს, გავეცნობი მათ მუშაობას, სადაც საჭიროა ჩემი დახმარება, ვეხმარები და ბოლოს ვბრუნდები ფილიალში. შემდეგ ძირდაცო ლექციებზე და სახლში ვბრუნდები საღამოთი. სახლში დიდძალი სამუშაო მაქვს. ამჟამად, მაგალითად, ვმუშაობ ახალ შრომაზე, რომელიც მათემატიკოსებისათვის, ფიზიკოს, ინტეგრეს მოკლებული არ იქნება. ამ შრომას ჰქვია: „ზოგიერთი ახალი მეთოდი პოტენციალის თეორიის ამოცანების ამოხსნისა". გამთავრებე ვგრეთვე მეორე წაშრომს, რომელშიაც გამოყენებული იქნება ჩემი და ჩემი მოწაფეების მიერ მიღებული გამოცდილება და დასკვნები. ამ მეორე ნაშრომს მონოგრაფიის ხასიათი ექნება და მას ვუწოდებ: „კომის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკურ ფიზიკაში".

არ იფიქროთ, რომ მავიწყდებოდეს ჩემი მოვალეობა ამომრჩევლებისადმი. როგორც მოგეხსენებათ, დეპუტატი ხალხის მსახურია, და მე ერთი წუთითაც არ მავიწყდება. ვიცი გამოუთქმელ სიამოვნებას და თვითკმაყოფილებას განვიცდი, როცა ჩემი ამომრჩევლების მიერ დაკალებული ამათუმ საკითხის მოწესრიგებაზე ვმუშაობ. ამომრჩევლები კი ხშირად მომმართავენ ხოლმე სხვადასხვა საქმეებზე. დღე არ გაივლის, რომ ან წერილი არ მივიღო ამომრჩევლებისაგან, ან რომელიმე მათგანი არ მოვიდეს ჩემთან.

მაგალითად, ამ ზაფხულში თელავის რაიონიდან სოფ. ბუშათიდან მივიღე კოლმეურნეების კოლექტიური წერილი, რომ დავმხარებოდი მათ წყალსადენის გაყვანასა და სასკოლო შენობის აგებაში. ამ წერილის გამო მე მომხინდა ჩასვლა ამ სოფელში და როცა დავბრუნდი, ხელმძღვანელი ამხანაგების თხოვნის შესრულება. ახლა აქ წყალსადენიც გაჰყავთ და სასკოლო შენობაც შენდება. საამისო მთავრობამ გაიღო სათანადო თანხა.

ერთმა მოქალაქემ—ნინო თოლაშვილმა მომმართა განცხადებით, რომ ლაგოდეხის რაიონის ერთერთ სოფელში მიწების აზომვამ კომისიამ დაუშვა „თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ რამდენიმე საბჭოთა მოქალაქისათვის ტკივილის მიმყენებელი" შეცდომაო. მართლაც, როდესაც სათანადო ორგანოების დახმარებით ეს საქმე გამოვიკვლიეთ, აღმოჩნდა, რომ მიწების აზომვისას ამ სოფელში ადგილი ჰქონდა შეცდომებს, რაც გამოსწორებულ იქნა.

— რაზე მოგმართავენ უმთავრესად ამომრჩევლები?

— ყველაფერზე, მაგრამ უფრო ხშირად სოფლების კეთილმოწყობასა და მშენებლობის საკითხებზე, რევოლუციური კანონიერების შესახებ. მთხოვენ ხშირად არა დახმარებას, არამედ რჩევას, მაგებინებენ თავის ჭირვარამს და დალხინებას, ყველაფერს, რაც ახარებს ან აწუხებს ჯანლონითა და ენერგიით ალსავსე ახალსა და მდიდარ საბჭოთა სოფელს.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა.

აკადემიკოსი - დეპუტატი უამბობდა მოსაუბრეს იმის შესახებ, თუ რამდენი საქმე გაუკეთა და მოუწყვია. ის მან თავის ამომრჩევლებს ჩასვლა ამ სოფელში და როცა დაბრუნდა, ხელმძღვანელი ამხანაგების დახმარებით შეეძლო ამ საქმეების თხოვნის შესრულება. ახლა აქ წყალსადენიც გაჰყავთ და სასკოლო შენობაც შენდება. საამისო მთავრობამ გაიღო სათანადო თანხა.

ერთმა მოქალაქემ—ნინო თოლაშვილმა მომმართა განცხადებით, რომ ლაგოდეხის რაიონის ერთერთ სოფელში მიწების აზომვამ კომისიამ დაუშვა „თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ რამდენიმე საბჭოთა მოქალაქისათვის ტკივილის მიმყენებელი" შეცდომაო. მართლაც, როდესაც სათანადო ორგანოების დახმარებით ეს საქმე გამოვიკვლიეთ, აღმოჩნდა, რომ მიწების აზომვისას ამ სოფელში ადგილი ჰქონდა შეცდომებს, რაც გამოსწორებულ იქნა.

— რაზე მოგმართავენ უმთავრესად ამომრჩევლები?

— ყველაფერზე, მაგრამ უფრო ხშირად სოფლების კეთილმოწყობასა და მშენებლობის საკითხებზე, რევოლუციური კანონიერების შესახებ. მთხოვენ ხშირად არა დახმარებას, არამედ რჩევას, მაგებინებენ თავის ჭირვარამს და დალხინებას, ყველაფერს, რაც ახარებს ან აწუხებს ჯანლონითა და ენერგიით ალსავსე ახალსა და მდიდარ საბჭოთა სოფელს.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა.

აკადემიკოსი - დეპუტატი უამბობდა მოსაუბრეს იმის შესახებ, თუ რამდენი საქმე გაუკეთა და მოუწყვია. ის მან თავის ამომრჩევლებს ჩასვლა ამ სოფელში და როცა დაბრუნდა, ხელმძღვანელი ამხანაგების დახმარებით შეეძლო ამ საქმეების თხოვნის შესრულება. ახლა აქ წყალსადენიც გაჰყავთ და სასკოლო შენობაც შენდება. საამისო მთავრობამ გაიღო სათანადო თანხა.

ერთმა მოქალაქემ—ნინო თოლაშვილმა მომმართა განცხადებით, რომ ლაგოდეხის რაიონის ერთერთ სოფელში მიწების აზომვამ კომისიამ დაუშვა „თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ რამდენიმე საბჭოთა მოქალაქისათვის ტკივილის მიმყენებელი" შეცდომაო. მართლაც, როდესაც სათანადო ორგანოების დახმარებით ეს საქმე გამოვიკვლიეთ, აღმოჩნდა, რომ მიწების აზომვისას ამ სოფელში ადგილი ჰქონდა შეცდომებს, რაც გამოსწორებულ იქნა.

— რაზე მოგმართავენ უმთავრესად ამომრჩევლები?

— ყველაფერზე, მაგრამ უფრო ხშირად სოფლების კეთილმოწყობასა და მშენებლობის საკითხებზე, რევოლუციური კანონიერების შესახებ. მთხოვენ ხშირად არა დახმარებას, არამედ რჩევას, მაგებინებენ თავის ჭირვარამს და დალხინებას, ყველაფერს, რაც ახარებს ან აწუხებს ჯანლონითა და ენერგიით ალსავსე ახალსა და მდიდარ საბჭოთა სოფელს.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა.

აკადემიკოსი - დეპუტატი უამბობდა მოსაუბრეს ი

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები

ამხ. ვ. ა. გონგაძე

ამხ. ვარლამ ალექსანდრეს-ძე გონგაძე დაიბადა 1899 წელს ონის რაიონის სოფელ ქრისტესში. ამხ. გონგაძე 1908 წელს შევიდა სოფლის ორკლასიან სასწავლებელში, მაგრამ მალე სწავლას თავი დაანება ოჯახური პირობების გამო.

1913 წელს ამხ. ვარლამი გაემგზავრა ქ. ორჯონიკიძეში (ქაქავი) და მუშაობა დაიწყო მოწათლე ფეხსაცმლის კერძო სახელოსნოში. აქ მუშაობის აუტანელი პირობები იყო, ამიტომ ამხ. გონგაძემ თავი დაანება მუშაობას და გადავიდა ღვინის სარდაფში ბოთლების მრეცხავად.

1918 წელს ამხ. გონგაძე მობილიზედ შევიდა წითელი არმიის რიგებში და მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციური ბანდების გაბანდგურებაში.

წითელი არმიიდან ამხ. გონგაძე ბრუნდება თბილისში და 1921 წელს მუშაობას იწყებს მტკვრისთავად თბილისის რკინიგზის საბარგო სადგურში. ამავე დროს ის სწავლობს საფაბრიკო-სავაჭრო სკოლაში. 1930 წელს ამხ. გონგაძე დაწინაურეს, ის ასრულებს მთელ რიგ საპასუხისმგებლო სამუშაოს. 1938 წლიდან ამხ. გონგაძე მუშაობას იწყებს თბილისის ლენინის სახელობის რაიონის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

ამხ. შ. გ ბერეკაშვილი

ამხ. შალვა გიორგის-ძე ბერეკაშვილი დაიბადა 1904 წელს ქ. თბილისში. 1921-დან 1923-წლამდე მსახურობდა წითელ არმიაში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ქ. მოსკოვში არყისა და სპირტის წარმოებაში. ამავე დროს წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლობდა. 1930 წელს დაამთავრა მოსკოვის პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი, 1932 წელს კი სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის ასპირანტურა. 1932 წლის თებერვლიდან აგვისტომდე მუშაობდა საქ. სსრ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განყოფილების გამგედ. ამის შემდეგ მუშაობდა ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოში კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგედ. 1934 წლიდან დღემდე პარტიულ სამუშაოზეა. ამჟამად მუშაობს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგედ.

ამხ. გ. გ. რამიშვილი

ამხ. გივი გიორგის-ძე რამიშვილი დაიბადა 1912 წელს ჩოხატაურის რაიონის, სოფ. დიდ - ვანში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

ამხ. გ. რამიშვილმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო თავის სოფელში. 1929 წელს შევიდა თბილისის პოლიგრაფმრეწველობის საფაბრიკო-სავაჭრო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს.

1933 წელს ამხ. რამიშვილი ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა წასულიყო თავის სოფელში, სადაც ცხოვრობდა 1936 წლამდე.

1936 წლიდან ამხ. რამიშვილმა მუშაობა დაიწყო ჩოხატაურის რაიონული გაზეთის „ბრძოლის დროშას“ სტამბაში მბეჭდავად. აქ მან დაჰყო 1939 წლის იანვრამდე, ხოლო ამა წლის იანვრიდან იგი მუშაობს გაზეთ „კომუნისტის“ სტამბაში მბეჭდავად.

ამხ. გ. რამიშვილი კომკავშირის წევრია 1929 წლიდან. 1937 წელს იყო გაზ. „ბრძოლის დროშასთან“ (ჩოხატაური) არსებული კომკავშირის ორგანიზაციის სტამბის ჯგუფორგი. 1938 წელს იყო ამავე სტამბასთან არსებულ კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი.

მიმდინარე წლის ზაფხულიდან ამხ. რამიშვილმა გაზ. „კომუნისტის“ სტამბაში თავდადებული მუშაობით თავი გამოიჩინა, როგორც სტახანოველმა. იგი საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. მაგალითად, ოქტომბრის გეგმა შეასრულა 132 პროცენტით.

ამხ. გ. რამიშვილი ერთსულოვნად დასახელა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად „კომუნისტის“ კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ. იგი რეგისტრირებულია № 489 საარჩევნო ოლქში.

ამხ. გ. ა. გოჩაშვილი

ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი დაიბადა 1904 წელს მუშის ოჯახში. 1917 წელს საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ამხ. გოჩაშვილი შევიდა სახელოსნო სკოლაში, რომელიც მალე მიატოვა მძიმე მატერიალური პირობების გამო და მოეწყო რკინიგზაზე.

ამხ. გოჩაშვილი 1922 წელს ძევიდა ლენინურ კომკავშირში, ხოლო 1927 წელს საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

1929 წლიდან 1934 წლამდე ამხ. გოჩაშვილი იმყოფებოდა ჭელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე. ამ ხნის განმავლობაში ის სხვადასხვა დროს მუშაობდა საკ. ალკა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგედ, საქ. ალკა ც. კ-ის მდივნად, საკ. ალკა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სამდივნოს წევრად და საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ, ა.-ჯ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის თანამემწედ კომკავშირის ხაზით. 1935 წლის აგვისტოდან ამხ. გოჩაშვილი გადადის ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე, მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის კულტურისა და განათლების განყოფილების ინსტრუქტორად, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანების განყოფილების ინსტრუქტორად, შემდეგ ამავე განყოფილების გამგის მოადგილედ. 1937 წლის ივლისიდან ამხ. გოჩაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ ცკის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად, ხოლო შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1938 წლიდან 1939 წლის ივლისამდე ამხ. გოჩაშვილი მუშაობდა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო შემდეგ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად.

ამჟამად ამხ. გოჩაშვილი მუშაობს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველ მდივნად და არის სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ამხ. ვ. ი. ჩომახიძე

ამხ. ვლადიმერ იოსების-ძე ჩომახიძე დაიბადა 1911 წელს ხონის რაიონში. მისი მამა ჰიათურის მაღაროებში მუშაობდა და დაიღუპა 1918 წელს მაღაროს ჭერის ჩამონგრევის გამო. სულ მალე დედაც გარდაეცვალა. ობლად დარჩენილმა ვლადიმერმა ნათესავების დახმარებით სოფელ გოჩა-ჯიხაიშში დაამთავრა 7-წლიანი შრომის სკოლა, აქვე შევიდა ლენინური კომკავშირის რიგებში.

1928 წელს ამხ. ჩომახიძე იწყებს მუშაობას თბილისის ბრეზენტსაქსოვ ფაბრიკაში, ამავე დროს სწავლობს ფაბრიკასთან არსებულ ტექნიკუმში. 1931 წელს ის გადავიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ გაზეთის მუშაკთა მოსამზადებელ 3-თვიან კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობდა გაზეთ „მუშის“ რედაქციაში, ამავე დროს სწავლობდა კომუნისტურ უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1935 წელს. 1937 წლიდან იგი მუშაობდა ტრამვაისა და ტროლეიბუსების გაერთიანების მრავალტირაჟიან გაზეთ „ბიულეტენის“ პასუხისმგებელ რედაქტორად, 1938 წლიდან კი გაზეთ „მუშის“ პასუხისმგებელ რედაქტორის მოადგილედ. 1939 წლის დასაწყისიდან ამხ. ჩომახიძე მუშაობს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში—ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილედ, ამჟამად კი კადრების განყოფილების გამგის მოადგილედ.

ამხ. ვ. ი. ჩომახიძე 1927 წლიდან ირიცხებოდა ლენინური კომკავშირის რიგებში. 1932 წელს მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად, 1938 წლის იანვარში კი საკ. კ. პ. (ბ) წევრად.

თელასის სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეებმა ვლადიმერ იოსების-ძე ჩომახიძე წამოაყენეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. იგი რეგისტრირებულია № 155 საარჩევნო ოლქში.

ამხ. თ. გ. მრევლიშვილი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილი, სატკეთესო პედაგოგი თინათინ გიორგის-ასული მრევლიშვილი.

თ. გ. მრევლიშვილი დაიბადა 1905 წელს მცხეთაში მოსამსახურის ოჯახში. 5 წლის იყო თინათინი, როცა მშობლები თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. 1923 წელს ამხ. მრევლიშვილმა წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ამავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1928 წელს ამხ. მრევლიშვილმა დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი და დაიწყო მასწავლებლად მუშაობა მე-12 საშუალო სკოლაში. 1930 წლამდე აქ დაჰყო. 1930-34 წლებში მუშაობდა ამიერ-კავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამეცნიერო-პოლიტეჭნიკური ბიბლიოთეკაში. შემდეგ ამხ. მრევლიშვილი მუშაობს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშფაკში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამხ. თინათინმა დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა მუშფაკის პედაგოგებსა და მოწაფეებში.

ამხ. თ. გ. მრევლიშვილის კანდიდატურა რეგისტრირებულია № 470 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ღ. ნ. გორგიძე

ამხ. ლავრენტი ნესტორისძე გორგიძე დაიბადა 1909 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ მაკადიკორში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1922 წელს დაამთავრა 4-წლიანი შრომის სკოლა. 1922-დან 1926 წლამდე მუშაობდა სოფლის მეურნეობაში. 1926 წელს 17 წლის ლავრენტიმ დაიწყო მუშაობა. ტყიბულის მაღაროებში. აქ იგი ახალგაზრდების ერთერთი მოწინავე ბრიგადის ბრიგადირად იყო. 1930 წლიდან სწავლობდა ინდუსტრიულ მუშფაკში, და დაამთავრა 1934 წელს. იმავე წელს შევიდა თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1937 წელს. ინსტიტუტში იგი სამშენებლო ფაკულტეტის პარტორგად მუშაობდა.

1937 წლიდან ამხ. გორგიძე მუშაობდა თბილისის სტალინის სახელობის რაიონის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ამჟამად მუშაობს თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ამხ. გორგიძე 1925 წლიდან ირიცხებოდა ლენინური კომკავშირის რიგებში, 1931 წლიდან კი საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საბჭოს მუშა-მოსამსახურეებმა ამხ. ლ. ნ. გორგიძე წამოაყენეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მისი კანდიდატურა რეგისტრირებულია საქალაქო საბჭოს არჩევნების № 427 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ა. პ. ბოჯგუა

ამხ. არტემ პეტრეს-ძე ბოჯგუა დაიბადა 1902 წელს სოფელ ზანაში (ცხაკაიის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. მან პირველდაწყებითი განათლება ამავე სოფელში მიიღო. მამის ადრე გარდაცვალების გამო ხელი მოჰკიდა სოფლის მეურნეობას და 1924 წლამდე სოფელში მუშაობდა. 1924-26 წლებში იყო მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. წითელ არმიაში ყოფნის დროს ის შედის საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

1926 წლიდან იწყებს მუშაობას ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე და ამავე დროს შედის საღამოს ტექნიკურ სასწავლებელში. 1930 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. უმაღლესი განათლების მისაღებად ამხ. ა. პ. ბოჯგუა შედის ამიერ-კავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე.

1934 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს საბპროექტში ინჟინრის თანამდებობაზე. მუშაობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტშიაც.

1937 წელს ამხ. ა. პ. ბოჯგუა დაინიშნა საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორად და დღესაც ღირსეულად ასრულებს ამ პასუხსაგებ მოვალეობას.

ამხ. ა. პ. ბოჯგუა მეცნიერულ მუშაობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. სისტემატურად კითხულობს ლექციებს რაიკომის პარტკაბინეტში და ატარებს კონსულტაციებს. მისი კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე რეგისტრირებულია № 110 საარჩევნო ოლქში.

ამხ. თ. მ. დარახველიძე

ამხ. თამარ მიხეილის-ასული დარახველიძე დაიბადა 1905 წელს სოფ. ნიგოითში (ლანჩხუთის რაიონი, ყოფ. ოზურგეთის მაზრა), მასწავლებლის ოჯახში. 1924 წელს დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ტექნიკუმი (ახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლა) და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს მსახურობდა საქ. სსრ მაწყდმოქმედების სახალხო კომისარიატში.

1928-29 სასწავლო წელს ამხ. თ. დარახველიძემ დაამთავრა უნივერსიტეტი, რის შემდეგაც მასწავლებლად გაიგზავნა ჩოხატაურის რაიონის სუბტროპიკულ ტექნიკუმში.

1932 წლიდან ამხ. თ. დარახველიძე მუშაობს საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის კადრების განყოფილებაში და ამავე დროს შეთავსებით თბილისის მექანიზაციის ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1933 წელს მას ნიშნავენ აღნიშნული ტექნიკუმის დირექტორად.

1936 წლიდან ამხ. თ. დარახველიძე მუშაობს თბილისის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორად.

ამხ. თ. დარახველიძე 1938 წლიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატია, ხოლო 1939 წლიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

ამხ. თ. დარახველიძე მოწინავე და თავდადებული პედაგოგია. ბერიას სახელობის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლების წინასაარჩევნო კრების მიერ ამხ. დარახველიძე ერთხმად წამოყენებულ იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მისი კანდიდატურა რეგისტრირებულია საქალაქო საბჭოს არჩევნების № 411 ოლქის საარჩევნო კომისიამ.

სტახანოვური მუშაობის მეთოდების ოსტატი

აქარმარა, 11 დეკემბერი (საქდესი). წინასაარჩევნო კრებაზე აქარმარის სადაბო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ყურილმწარეველთა ბრიგადირი ანდრია იაკობის-ძე ბესარაბი; მაღაროელები ერთსულოვანი ტაშისცემით შეეგებნენ მის კანდიდატურას და მიესალმნენ ერთერთ თავიანთ წარჩინებულ სტახანოველს.

მარტში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა, ანდრია ბესარაბმა პირველმა აიფრიალა ტყვარჩელის მაღაროში შეჯიბრების დროშა. ქვანახშირის ოსტატმა და საზოგადო მუშაკმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაიბა მაღაროს ყველა ყურილმწარეველი.

ამხ. ბესარაბი სტახანოვური საქმეებით ამართლებს თავის ვალდებულებებს. საწარმოო დავალებებს ყოველთვიურად საშუალოდ 180 პროცენტით ასრულებს, ახლა კი თავისი ბრიგადის შრომის ნაყოფიერება 230-240 პროცენტამდე გაადიდა.

მაისში, ტყვარჩელის მაღაროელთა დელეგაციის შემადგენლობაში, ამხ. ბესარაბი დონბასში იყო გოლუბოვკის მეშახტეებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად.

ამ ორი თვის წინათ, როცა იმ უბანში, სადაც ამხ. ბესარაბი მუშაობს, მთელი რიგი სერიოზული საწარმოო უწესრიგობანი იყო, ანდრია იაკობის-ძემ საშახტო გაზეთში მოათავსა წერილი, რომელშიც ნაკლოვანებებს აშკარავებდა, და ძვირფასი წინადადებანი შეიტანა მუშაობის გასაუმჯობესებლად. ეს ამან კარგი საწარმოო ეფექტი გამოიღო.

მუშაობაში მიღწეულ წარმატებისათვის ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სამმართველომ ამხ. ბესარაბი საათით დააჯილდოვა.

ა. ი. ბესარაბი 30 წლისაა. შახტში მუშაობს წელია მუშაობს; მანამდე ორ წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში იყო უმცროს მეთაურად, ადრე კი სამშობლო სოფელში მუშაობდა.

ტყვარჩელქვანახშირის მაღაროელები კარგად იცნობენ ამხ. ბესარაბს, იციან, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია და იმედი აქვთ ნდობას ღირსეულად გაამართლებს.

ანდრია იაკობის-ძე ბესარაბი რეგისტრირებულია სადაბო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალ მახმის № 3 საარჩევნო ოლქში.

დეკემბრის 10 დღის განმავლობაში ავლაბრის რესტავრირებული არაღეგალური ბოლშევიკური სტამბა 4 ათასმა კაცმა ნახა

ავლაბრის რესტავრირებული არაღეგალური ბოლშევიკური სტამბა 2 წლისა და 4 თვის განმავლობაში 428 ათასმა კაცმა ნახა. მარტო მიმდინარე წელს სტამბა 162 ათასმა კაცმა დაათვალიერა.

აქ ორგანიზებულად მოდიან ამომრჩევლები—თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან ჩამოდიან ექსკურსანტები.

ამ კოტა ხნის წინათ სტამბა ნახეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის № 72 საარჩევნო ოლქის, სტალინის რაიონის № 35 საარჩევნო უბნის და ბერიას სახელობის რაიონის № 19 საარჩევნო უბნის ამომრჩევლებმა, კიროვის სახელობის და 26 კომისრის სახელობის რაიონების დიასახლისებმა. მნახველები შთაბეჭდილებათა წიგნში სწერენ თავიანთ აზრს ნანახის შესახებ, ჰგზავნიან წერილებს.

სტამბის მნახველთა რიცხვმა განსაკუთრებით იმატა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადების დღეებში. სექტემბერში სტამბა ნახა 11.280 კაცმა, ოქტომბერში — 13.500 კაცმა, ხოლო ნოემბერში — მნახველთა რიცხვმა 17.243-ს მიაღწია. დეკემბრის მარტო 10 დღის განმავლობაში სტამბა 4 ათასზე მეტმა კაცმა ნახა. (საქდესი).

ჭიათურა



ბიბლიოთეკა

მრეწინავე მეცნიერი—დეკუზავობის კანდიდატი

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში მეცნიერება და სოციალიზმი განუყრელნი არიან. მეცნიერება სოციალიზმისათვის მუშაობს, ხალხს კი არ ემოჯნება, არამედ თავისი სურვილით ემსახურება მას, ხალხთან ერთად მუშაობს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის აშენების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ხალისია ბელადი დიდი **სტალინი** გენიალური გამჭრიახობით ამბობდა: „... უდიდესი კულტურული მუშაობის შედეგად ჩვენ ი ი წარმოვიდა და ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, მუშათა კლასისა, გლეხობისა და საბჭოთა მოსამსახურეების რიგებიდან გამოსული, ჩვენი ხალხის ხორც-ხორცთაგანი და სისხლ-სისხლთაგანი, — ინტელიგენცია, რომელმაც არ იცის ექსპლუატაციის უღელი, რომელსაც სძულს ექსპლუატატორები და მზად არის ერთგულად და გულმართლად ემსახუროს სსრ კავშირის ხალხებს“.

ასეთი ახალი, ხალხური, სოციალისტური ინტელიგენცია, მოწინავე მეცნიერების საუკეთესო ადამიანები ორდენოსან საქართველოში უამრავია, რომელთა შორის პროფ. ს. ჯანაშიას ერთერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია.

პროფ. ს. ჯანაშია ნამდვილი საბჭოთა მეცნიერია, გაზრდილი და დაგვიკაცებული საბჭოთა ხელისუფლების დროს. იგი ენერგიულად მუშაობს მოწინავე მეცნიერების აყვავებისათვის. „იმ მეცნიერების, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“. (ი. სტალინი).

საქართველოს მშრომელები დიდი სიყვარულით იხსენიებენ საბჭოთა ნამდვილი მოწინავე მეცნიერების ენერგიული მუშაკის პროფ. სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშიას სახელს. მას იცნობენ, როგორც ერთერთ თვალსაჩინო ისტორიკოსს, რომელიც მთელი თავისი ცოდნითა და გამოცდილებით დაუღალავად ემსახურება დიადი სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

პროფ. ს. ნ. ჯანაშია დაიბადა 1900 წელს. სოფ. მაკნანეთში (ყოფ. ოზურგეთის მაზრა). საშუალო განათლება მან ქ. სოხუმის რეალურ სასწავლებელში მიიღო, რომელიც დაამთავრა 1918 წ. იმავე წლის სექტემბერში შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც ჩაირიცხა ორ დარგზე—ისტორიულსა და ენათმეცნიერულზე. აღნიშნულ დარგებს დაამთავრა 1922 წ. იმავე წელს პროფ. ივ. ჯავახიშვილის წარდგინით დატოვებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტად საქართველოსა და სპარსეთის ისტორიაში.

1923 წლის შემოდგომიდან იძულებული შეიქნა შეწყვიტა მუშაობა მძიმე ავადმყოფობის გამო. მუშაობა ნაწილობრივ განაახლა 1925 წლის გაზაფხულზე. იმავე წლის შემოდგომიდან მიწვეულ იქნა საქართველოს ისტორიის ლექტორად თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1926 წელს ჩააბარა სადოქტორო გამოცდები საქართველოსა და სპარსეთის ისტორიაში სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე და იმავე წელს მიწვეულ იქნა აღნიშნულ ფაკულტეტზე ლექტორად „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში“ და აფხაზურ ენაში. 1930 წელს პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს მიერ ამხ. ს. ჯანაშია არჩეულ იქნა დოცენტად, რაც დაამტკიცა საქ. სსრ განსახკომმა.



სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუტებად დაყოფის შემდეგ მიწვეულ იქნა დოცენტად საქ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა საქართველოს ისტორიას, საქ. ისტორიის წყაროთმცოდნეობას და აფხაზურ ენას. 1932 წელს დაინიშნა პედაგოგიური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის მოადგილედ, ხოლო 1933 წლის იანვარში მიწვეულ იქნა დოცენტად ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1933 წლის სექტემბრამდის ასრულებდა ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანის მოადგილისა და საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობას.

პროფ. ს. ჯანაშიას სამეცნიერო მუშაობაში 1935 წლის სექტემბერი ღირსშესანიშნავი თარიღია, რადგანაც ამ დროს მას ნიშნავენ სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ, ხოლო მის შემდეგ მას ირჩევენ პროფესორად, რაც დაამტკიცა საქ. სსრ განსახკომმა.

პროფ. ს. ჯანაშია, სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გარდა, აგრეთვე მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში. 1930 წლიდან 1932 წლამდე იყო ლიტერატურული ენისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის ცენტრალური კომისიის მდივანი. 1934 წლის მაისიდან იყო ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის განყოფილების სწავლული მდივანი, ხოლო 1937 წლის მარტიდან—იმავე ენციკლოპედიის დაინიშნული დარგების რედაქტორი (ძველი ხანისთავის). 1936 წლის მარტში დაინიშნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის დეკემბერში აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორად, რა თანამდებობასაც ასრულებს დღემდე. აგრეთვე იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის თავმჯდომარის მოადგილეა და ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის.

ახლო მონაწილეობას იღებდა საქ. ხელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1933 წლის სექტემბრამდის ასრულებდა ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანის მოადგილისა და საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობას.

პროფ. ს. ჯანაშიას სამეცნიერო მუშაობაშიაც. არის წევრი და დამარსებელი ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა, ხოლო 1935 წლიდან სწავლული მდივანი საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა.

პროფ. ს. ჯანაშიას აქვს 26 მეცნიერული შრომა. 1938 წ. მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

პროფ. ს. ჯანაშია სხვადასხვა სამეცნიერო მუშაობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ-პროფესიული ხაზით, კერძოდ, 1936-1937 წლებში იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა სექციის ადგილობრივი ბიუროს თავმჯდომარე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს იყო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. ამჟამად არის საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციის ორგბიუროს თავმჯდომარე და საქართველოს ულმერთოთა საზოგადოების რესპუბლიკური ბიუროს წევრი.

დეპუტატი ხალხის მსახურია, ჭეშმარიტად პროფ. ს. ჯანაშია დეპუტატის ამ საპატიო მოვალეობას ღირსეულად შეასრულებს. ამიტომ იყო, რომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის მეცნიერ მუშაკთა წინასაარჩევნო კრებამ ამხ. ს. ჯანაშია ერთსულოვნად დაასახელა თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

1939 წლის 24 დეკემბერს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 391 საარჩევნო ოლქის მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამხ. ს. ჯანაშიას კანდიდატურას და აირჩევენ მას დიდაქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში.

გრ. ზაქარაია

ღითონის ღნობის ოსტატი—დეკუზავობის კანდიდატი

ზესტაფონი. (საქდესი). ზესტაფონის ქალაქის საბჭოს არჩევნების № 2 საოლქო საარჩევნო კომისიამ ქალაქის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს ოსტატი, კომუნისტი ამხ. ანდრია ვასილის-ძე ვარდიშვილი.

ქარხანაში ამხ. ვარდიშვილს იცნობენ, როგორც მტკიცე ბოლშევიკს, მუყაითს, ლითონის ღნობის უბადლო ოსტატს. იგი ფეროშენადნობთა ქარხანაში მისი მშენებლობის დაწყებიდან—1930 წლიდან მუშაობს. მან თავიდანვე პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა.

1933 წელს ამხ. ვარდიშვილი უფროს მდნობლად დაინიშნა, ხოლო 1937 წლიდან სადნობი საამქროს ოსტატია.

მიმდინარე წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვარდიშვილი დააჯილდოვა მედლით—„შრომითი მამაცობისათვის“.

ՀՀ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՈՐՈՇՈՒՄ

ՀՀ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ 1990 ԹՎԱԿԱՆԻ ՊԵՏԱԿԱՆ ԲՅՈՒՋԵԻ ՄԱՍԻՆ

ՀՀ կառավարությունը որոշում է.

1. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի հետևյալ հիմնական ցուցանիշները.

ա) պետական բյուջեի եկամուտները՝ 1 միլիարդ 940 միլիոն ռուբլի,

բ) պետական բյուջեի ծախսերը՝ 2 միլիարդ 1 միլիոն ռուբլի,

գ) պետական բյուջեի դեֆիցիտը՝ 61 միլիոն ռուբլի:

2. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի եկամուտների կազմը՝ համաձայն հավելված № 1-ի:

3. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի կազմը՝ համաձայն հավելված № 2-ի:

4. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի ֆունկցիոնալ դասակարգումը՝ համաձայն հավելված № 3-ի:

5. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի տնտեսագիտական դասակարգումը՝ համաձայն հավելված № 4-ի:

6. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի գերատեսչական դասակարգումը՝ համաձայն հավելված № 5-ի:

7. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի ծրագրային դասակարգումը՝ համաձայն հավելված № 6-ի:

8. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի տարածքային դասակարգումը՝ համաձայն հավելված № 7-ի:

9. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի ֆինանսավարկային դասակարգումը՝ համաձայն հավելված № 8-ի:

10. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի ֆինանսավարկային դասակարգումը՝ համաձայն հավելված № 9-ի:

11. Հաստատել ՀՀ 1990 թվականի պետական բյուջեի ծախսերի ֆինանսավարկային դասակարգումը՝ համաձայն հավելված №